ცნობა

სოზარ სუბარი დაიბადა 1964 წლის 4 ნოემბერს, მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში;

1995 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო აკადემიის თეოლოგიის ფაკულტეტი;

1981-1988 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრსა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში;

1989 წლიდან 1995 წლამდე მსახურობდა დავით გარეჯის მონასტერში, დმანისის სიონისა და ივერიის ღვთისმშობლის ტაძრებში მედავითნედ;

1993 წელს მონაწილეობდა აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში;

1995-2000 წლებში იყო გაზეთ „კავკასიონის“ კორესპონდენტი, შემდგომში რედაქტორი, 1996-2003 წლებში იყო რადიო „თავისუფალი ევროპის“ კორესპონდენტი;

1998-2001 წლებში იყო ლონდონის ომისა და მშვიდობის რეპორტაჟების ინსტიტუტის კორესპონდენტი;

2002 წელს დააფუძნა კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი;

2003-2004 წლებში მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაცია თავისუფლების ინსტიტუტში პროექტ – კანონის უზენაესობის დირექტორად;

2004-2009 წლებში იყო საქართველოს სახალხო დამცველი;

2009 წელს აირჩიეს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მრჩეველთა საბჭოს წევრად;

2012 წლის 1 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად;

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრად, ხოლო 2014 წლის 26 იანვარს – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად;

2014 წლის 21 ივლისს დაინიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრად;

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს;

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.